



www.cse.ge

საინფორმაციო ელექტრონული ჟურნალი
ოქტომბერი, 2012 წელი

5

- ✓ სოციალური მენარმეობა საქართველოში
 - ❖ CTC-ის საქმიანობა სოციალური მენარმეობის მხარდასაჭერად
 - ❖ არბაიტერ-სამარიტერ-ბუნდის შერჩეული სოციალური საწარმოს ინიციატივები შემდგომი მხარდაჭერისთვის

- ✓ სოციალური მენარმეობის საერთაშორისო ამბები
 - ❖ გლობალური სოციალური ბიზნეს სამიტი
 - ❖ სოციალური ინოვაცია ჟურნალ "The Economist"- ში

სოციალური მენარმეობა საქართველოში

CTC-ის პროექტი სოციალური მენარმეობის მხარდასაჭერად



სოციალური მენარმეობის განვითარება შედარებით ახალი მიმართულებაა CTC-ს საქმიანობაში. მეტწილად ამ მიმართულებით CTC მუშაობს ერთ-ერთი პროექტის "ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის" ფარგლებში. პროექტი ინიცირებული და დაფინანსებულია BP -სა და მისი პარტნიორების მიერ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის კომპანიებში. იგი ხორციელდება ქვემო ქართლის რეგიონში.

სოციალური სანარმოების შექმნის წახალისება ხდება ადგილობრივი სათემო ორგანიზაციების ბაზაზე. CTC - ის მონაწილეობა სოციალური სანარმოს ჩამოყალიბებაში დაფინანსების გარდა გულისხმობს ტრენინგის ჩატარებას სათემო ორგანიზაციების საინიციატივო ჯგუფებისათვის. ტრენინგზე განიხილება ისეთი საკითხები, როგორცაა სოციალური სანარმოს კონცეფცია, ოპერაციების მართვა, ბაზარი და მომხმარებელი, მარკეტინგული ღონისძიებები, ფინანსური მართვა, საგადასახადო საკითხები და სხვა.

პროექტის ფარგლებში შექმნილი სოციალური მენარმეობის მოდელი შემდეგი სახისაა. პროექტი აფინანსებს სათემო ორგანიზაციის მიერ შექმნილ სოციალურ სანარმოს. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ სათემო ორგანიზაციის თანამონაწილეობა შეადგენს მთლიანი ბიუჯეტის არა ნაკლებ 50%-ს. სათემო ორგანიზაცია მთლიანად პასუხისმგებელია სანარმოს ოპერაციულ მართვაზე და სანარმოს საქმიანობიდან მიღებული მოგება ხმარდება თემის საჭიროებებზე მიმართულ სხვადასხვა სოციალური პროექტების განხორციელებას.

2010-2011 წლებში პროექტის ფარგლებში დაფინანსებულია 6 სოციალური საწარმო. აქედან 5 სოციალური საწარმო ეწევა აგრო, ხოლო ერთი სატრანსპორტო მომსახურებას. გარდა იმისა, რომ სოციალური საწარმოს საქმიანობიდან მიღებული მოგება ხმარდება თემის საჭიროებებს, იზრდება სხვადასხვა სახის მომსახურებებზე ხელმისაწვდომობა, რაც თავისთავად დიდი სარგებლის მომტანია.

დღეისათვის, ყველა დაფინანსებული სოციალური საწარმო წარმატებით აგრძელებს ფუნქციონირებას. ყველა დაფინანსებულ საწარმოს განხორციელებული აქვს სულ მცირე ერთი სოციალური პროექტი. CTC კვლავაც გააგრძელებს სოციალური მენარმეობის განვითარებაზე მიმართულ საქმიანობებს, რაც განაპირობებს სოციალურ ცვლილებებზე ორიენტირებული მდგრადი ორგანიზაციების შექმნასა და წარმატებას.

არბაიტერ-სამარიტერ-ბუნდის შერჩეული სოციალური საწარმოს პროექტები



ივლისის საინფორმაციო ელექტრონულ ჟურნალში (იხ. [საინფორმაციო ელექტრონული ჟურნალი #4](#)) გაგაცანით არბაიტერ-სამარიტერ-ბუნდის (ასბ) პროექტი სოციალური მენარმეობის მხარდასაჭერად, რომელმაც 2012 წლის 1 მარტს ადგილობრივ პარტნიორ ორგანიზაცია "თანხმობასთან" ერთად სამეგრელოში დაიწყო პროექტი სახელწოდებით: "სოციალური საწარმოების შექმნა და დევნილი და მასპინძელი თემების ერთობლივი ეკონომიკური აქტივობა ადმინისტრაციულ საზღვრისპირა რეგიონში." პროექტის ფარგლებში იგეგმებოდა ადგილობრივ ხელისუფლებასთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტირებით სოციალური მომსახურების სფეროში ხუთი იდეის შერჩევა, რომელთაც 2013 წლიდან შეეძლებათ საქმიანობის დაწყება და სოციალური სერვისების მიწოდება მოსახლეობისათვის.

შერჩეული პროექტებია:

1. **დავეხმართ ომის შედეგად დაზარალებულ ინვალიდებსა და მარტოხელა მოხუცებს**- ინიციატორები: ციალა აბსანძე და ინგა გუნჯუა. პროექტი განხორციელდება ზუგდიდის რაიონის ხუთ სოფელში: კოკი, ორსანტია, ხურჩა, ინგირი და ახალხატი. ხუთი თანამშრომელი მოემსახურება 28 ადამიანს შინმისვლით.
2. **სოციალური საწარმო "ოდა"**- ინიციატორები: დავით ქარჩავა, ომარ მურლულია. დასაქმდება 5-6 ადამიანი, რომლებიც შეეცდებიან უნარშეზღუდულ, სოციალურად დაუცველ და ღარიბ მოსახლეობას შეუმსუბუქონ საყოფაცხოვრებო პირობები. საწარმო ორიენტირებული იქნება მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრების დამზადებაზე.
3. **შშმპ, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული, ობოლი და მზრუნველობას მოკლებული ბავშვების დღის ცენტრი**- ინიციატორი-ირუბა კაკავა. სოციალური საწარმოს იდეაა სამიზნე ჯგუფს ასწავლოს ინგლისური, კომპიუტერი, თეატრზე მუშაობა, თმის შეჭრა და ფრჩხილების მოვლა. საქმიანობებს განხორციელებს 5 ხელფასიანი თანამშრომელი, დანარჩენს მოხალისეები.
4. **ძიძის სახლი "ნანა"** - ინიციატორი- მარინა გრიგოლია. კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ოჯახების მცირეწლოვანი შვილებისთვის უფასო ძიძით მომსახურების სერვისის შექმნა. პროექტი მოიცავს ხუთ სოფელს.
5. **სოციალური საწარმო** - ინიციატორი - იამზე ალფენიძე. ძირითადი სერვისი რასაც საწარმო შესთავაზებს მომხმარებელს არის პროთეზების გადაკეთება/მორგება. აღნიშულთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაცია "ნერგები", რომელმაც შემოიტანა განაცხადი ითანამშრომლებს პროექტის სხვა მონაწილესთან ბნ. ონერ ხარჩილავასთან, რომელიც პროთეზების გადაკეთების სპეციალისტია. საწარმო ასევე გულისხმობს სასწავლო კომპონენტსაც, რომლის დროსაც ბნ. ონერი თავის ცოდნას ახალგაზრდებს გაუზიარებს.

სოციალური მენარმეობის საერთაშორისო ამბები



გლობალური სოციალური ბიზნეს სამიტი



გლობალური სოციალური ბიზნეს სამიტი 2012 წელს გაიმართება ვენაში, ავსტრიაში, 8-10 ნოემბერს.

გასული რამდენიმე წლის განმავლობაში სოციალური ბიზნესი მნიშვნელოვანი კომპონენტი გახდა ბიზნესის შესაძლებლობების განვითარებისთვის, ასევე მას პოლიტიკური პროცესებშიც შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი. სამიტზე ყურადღება გამახვილებული იქნება ტექნოლოგიურ პროგრესისა და კრეატიულობის შერწყმაზე, რაც ხელს შეუწყობს სოციალური ბიზნესისთვის ინოვაციური იდეების განვითარებას, რომ გადაიჭრას საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემები.

სამიტში მონაწილეობას მიიღებენ ექსპერტები სხვადასხვა კორპორაციებიდან, სამოქალაქო საზოგადოებიდან, მთავრობასა და აკადემიებიდან. ისევე, როგორც წინა წლებში ამჟამადაც, სამიტს დაესწრება ბევრი საერთაშორისო სოციალური მენარმე, რომ გაუზიარონ ერთმანეთს ცოდნა და გამოცდილება.

სამიტში მონაწილეობის მისაღებად გადაადით ლინკზე და დარეგისტრირდით: <http://www.gsbs2012.com/>



სოციალური ინოვაცია ჟურნალ "The Economist"- ში

მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი ჟურნალი "The Economist" სოციალურ ინოვაციას ვრცელ სტატიას უთმობს.

ამერიკისა და ბრიტანეთის მთავრობები აცნობიერებენ, რომ სოციალურ მენარმეებთან პარტნიორობა საზოგადოების ძირეული პრობლემების გადაჭრაში დაეხმარებათ. ორივე ქვეყნის პოლიტიკოსები ცდილობენ საზოგადოების პრობლემებს ამ ახალი მიდგომით ებრძოლონ. ობამას ადმინისტრაციამ სოციალური ინოვაციის ფონდის დახმარებით 74 მილიონი დოლარი დააბანდა

ამერიკის ყველაზე წარმატებულ არა-მომგებიან ორგანიზაციებში.

უმეტესობა წარმატებული ინოვაციებისა ნელა ვითარდება თუ ისინი საერთოდ ახერხებენ ამას. პოლიტიკოსები იმედოვნებენ, რომ სახელმწიფოს მიერ სოციალური მენარმეების წახალისება ხელს შეუწყობს საუკეთესო იდეების სწრაფად და ფართოდ გავრცელებას, რაც ასევე ხელს შეუწყობს სამუშაო ადგილების შექმნას, ახალგაზრდებისთვის უკეთესი პირობების შექმნას და ა.შ.

სტატია უფრო ვრცლად იხილეთ შემდეგ ბმულზე: <http://www.economist.com/node/16789766>

- ❖ თუ თქვენ აღარ გსურთ მიიღოთ **სოციალური მენარმეების ელექტრონული ჟურნალის** შემდეგი გამოცემები, გამოაგზავნეთ ტექსტი - "გამონერის გაუქმება" შემდეგ მისამართზე: info@cse.ge

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით >>>



ყველა საავტორო უფლება დაცულია და ეკუთვნის "საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრს"



"ღია საზოგადოება - საქართველო"



"ეკლესიის განვითარების სააგენტო"